მშენებარე ქვესადგური შინდისი 35

არქეოლოგიური ექსპერტიზა

სს - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა გეგმავს ქვესადგური - შინდისი 35 ტერიტორიის გაფართოვებას და მისასვლელი გზის მოწყობას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესრულდა არქეოლოგიური ექსპერტიზა მოცემულ ფართობზე, სადაც ზედაპირულად ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები (ტერიტორიის ფართობის ორთოფოტო - **ტაბ. I**).

არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოების დროს დადგინდა, რომ მშენებარე ფართობი მდებარეობს დამრეც კლდოვან რელიეფზე და ტერიტორიაზე არ ფიქსირდება არტეფაქტები. ხშირ შემთხვევაში ჰუმუსოვანი ფენა მოშიშვლებულია და ზედაპირზე შეიმჩნევა დედაქანი. ჰუმუსუვანი ფენა ძლიერ სუსტია და არ აღემატება 10 სმ. (იხილეთ არეალის ფოტოები - **ტაბ. II**). იგივე სურათია მისასვლელ გზაზე. გარდა ამისა, უკვე არსებულ ქვესადგურზე ჩატარებულია არაერთი მიწის სამუშაო, სადაც დავათვალიერეთ ე.წ. ჭრილები და არქეოლოგიური ნაშთები არ გამოვლენილა.

დასკვნა/რეკომენდაცია

ზემოთმოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მითითებულ ფართობზე არ ფიქსირდება არქეოლოგიური ნაშთები და შესაძლებელია შემდგომი სამშენებლო სამუშაოების წარმოება. (ფართობი მოცემულია GPS-კოორდინატებით ტაბ. - I).

არქეოლოგიური ექსპერტიზის ავტორი

დავით ნასყიდაშვილი

არქეოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარე

პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

15.1.2018

ტაბულა I


N
481250
481500
4613500
4613250
4613000
0 30 60 120 180 240
Meters
ლეგენდა
მინდისი 35
ქვესადგურთან მისასვლელი გზა

ტაბულა II



არსებული ქვესადგურის ტერიტორია



სამშენებლო არეალი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990152918941318

№17/174 **22 / იანვარი / 2018 წ.**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრო-სისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრს
ბატონ გიორგი შარკოვს
თბილისი 0105, ზარათაშვილის ქ. N2
ტელ: (+995 32) 983704; 510101

ბატონო გიორგი,

თქვენი წერილის (N288/07 18.01.2018) პასუხად, რომელიც ეხება სოფელ თელეთში ქვესადგურების „შინდისი 35კვ“, „თელეთი 220-110 კვ“ და 220 კვ ეგხ „ალგეთა“-ს რეკონსტრუქციას და საპროექტო ტერიტორიებზე ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევით სამუშაოებს, გაცნობებთ, რომ სააგენტოში შემოსული ანაგარიშის მიხედვით, მშენებარე ქვესადგური „შინდისი 35 კვ“ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი და არტეფაქტები არ ფიქსირდება. ხოლო ქვესადგურების „ალგეთა 220 კვ“ და „თელეთი 220-110 კვ“ ტერიტორიაზე დასაშვებია სამუშაოების გაგრძელება მხოლოდ არქეოლოგის ზედამხედველობით.

ასევე აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (მოცემულ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი